პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 39 (1675) ○ ხუთშაბათი, 30 მარტი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4,5 : 2,5 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ

გუშინ მოსკოვის სახელმწიფო ესტრადის თეატრში გათამაშდა მატჩ-რევანშის მეშვიდე პარტია. თეთრებით თამაშობდა მ. ბოტვინიკი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პარტია დიდი ალმავლობით ჩაატარა და აიძულა მოწინააღმდეგე 33-ე სვლაზე ფარ-ხმალი დაეყარა.

ამრიგად, მატჩ-რევანშის ანგარიშია 4,5:2,5 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

ხვალ გათამაშდება მატჩ-რევანშის მე-8 პარტია. თეთრებით ითამაშებს მ. ტალი.



სურათზე: ლ. გოგოლაძე შეჯიბრების წინ პოხავს თხილამურებს.

## ლ. გოგოლაძეს — ვერცხლის მედალი

ალმა-ატა (ტელეფონით). ჩიმბულაკის მიდამოებში გამართული სამთო - მოთხილამურეთა საკავშირო გუნდური პირველობა საგრძნობლად განსხვავდებოდა წინა ჩემპიონატებისაგან. ამჯერად გუნდურ ჩათვლაში შედიოდა ჭაბუკთა და გოგონათა მიერ ნაჩვენები შედეგებიც, ამასთან დებულების თანახმად რსფსრ-ს უნდა გამოეყვანა ორი გუნდი—ერთი რესპუბლიკის ევროპული ნაწილის სპორტსმენებით, ხოლო მეორე აზიური ნაწილის სპორტსმენებით დაკომპლექტებული. მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ფედერაცია დაეთანხმდა რსფსრ-ს გუნდები დაეკომპლექტებინა სურვილისამებრ, რამაც მათ მოუტანა კიდეც გამარჯვება გუნდურ ჩათვლაში. მოსკოველები მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

წინა წლებთან შედარებით ამ შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები, რომლებმაც გაასწრეს ყაზახეთის ძლიერ კოლექტივს და მეხუთე ადგილი გაინაღდეს.

გუნდური პირველობის დამთავრების შემდეგ დაიწყო პირადი პირველობა.

ქალებს სპეციალურ სლალომში პირველი ცდით უნდა გაევლოთ 550 მ 52 კარით. აქ ყველაზე კარგი დრო — 1.06,2 ჰქონდა მოსკოველ ე. კაბინას, მასთან 1,6 წამით წააგო ბაკურიანელმა ლ. გოგოლაძემ და 0,1 წამით მოუგო ლ. კოსტრომინას (ყაზახეთი), რომელსაც ამ ცდაზე მესამე შედეგი ჰქონდა. სამაგიეროდ, მეორე ცდამ ერთგვარი შესწორება შეიტანა ლიდერთა მდგომარეობაში. 500 მ ტრასაზე დადგმული იყო 57 კარი, რაც მონაწილეებს კიდევ უფრო ურთულებდა პირობებს. ტრასა ყველაზე კარგად გაიარა ს. კორზუხინამ (რსფსრ I) — 1.03,1, მაგრამ პირველ ცდაზე ცუდი მაჩვენებლის გამო — 1.17,4 ორი ცდის ჯამში აჩვენა 2.20,5 და მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. ჩემპიონი გახდა ლ. კოსტრომინა — 2.15,7. კვლავ კარგად გამოვიდა ლ. გოგოლაძე. მან პირველი ცდის შედეგი მართალია გააუარესა, მაგრამ მხოლოდ 0.4 წამით, ორი ცდის ჯამში აჩვენა 2.16,0 და 0,3 წააგო ჩემპიონთან, რითაც მოიპოვა მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი, რაც მისი დიდი წარმატებაა.

## ქართველი მოფარიკავე — პროფკავშირების ჩემპიონი

რიგაში ჩატარდა პროფკავშირების საკავშირო პირველობა ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჭაბუკი სპორტსმენები.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ხმლით ფარიკაობაში.

მონაწილეთა ძალზე ძლიერი შემადგენლობის მიუხედავად, პროფკავშირების ჩემპიონის წოდება მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ. მეორე ადგილზე კვლავ საქართველოს წარმომადგენელი, ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი მ. ადეიშვილი გამოვიდა, დაშნით ფარიკაობაში გაიმარჯვა რიგელმა ს. კუროვმა. თბილისელი თ. შარაშენიძე მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.

## დ. ბრუმელი — 4 მ 85 სმ

უკანასკნელ წლებში იაპონიის მძლეოსნობის რეგრესმა და მომავალი ოლიმპიური თამაშების მათ ქვეყანაში ჩატარებამ საგონებელში ჩააგდო ადგილობრივი სპორტის მესვეურები. ამიტომ ისინი ყოველღონეს ხმარობენ მდგომარეობის გამოსასწორებლად და სწორედ ამ მიზნით თავიანთ დედაქალაქში გამართეს საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ამერიკის, იტალიის, ახალი ზელანდიისა და სხვა ქვეყნების უძლიერეს მძლეოსანთა მონაწილეობით.

ტოკიოს გიმნაზიის სპეციალურად რეკონსტრუირებულ დარბაზში ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიო რეკორდსმენის დ. ბრუმელის წარმატება ჭოკით ხტომაში. პირველ დღეს მან 4.70 სმ დაძლევა შეძლო, მეორე შეჯიბრებაზე ამ შედეგს კიდევ 2 სმ მოუმატა, ხოლო მესამე შეჯიბრებაზე, რომელიც აქვე გაიმართა, დ. ბრუმელმა დაძლია 4.85 სმ. სიმაღლე და 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა უმაღლესი მსოფლიო მიღწევა დახურული შენობისათვის.

სხვა შედეგიდან აღსანიშნავია 5000 მეტრზე რბენაში რომის ოლიმპიადის ჩემპიონის ახალზელანდიელ მ. ჰელბერგის გამარჯვება მილსა და 3000 მეტრზე რბენაში, ამერიკელი სტუდენტის რ. ავანგის წარმატება სიმაღლეზე ხტომაში — 2.05 სმ, იაპონელ მ. კამატის გამარჯვება 50 მ და 60 იარდზე რბენაში, სადაც მან მოუგო რომის ოლიმპიადის ჩემპიონს 200 მ. რბენაში ვ. ბერუტის და სხვ.

თბილისელი ექიმები გ. ნაცვლიშვილი და ჭ. ზამთარაძე გვეკითხებიან: როგორია მატჩ-რევანშების მოკლე ისტორია.

◆

როცა 1894 წელს მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა ვ. სტეინიცმა წააგო მატჩი ე. ლასკერთან მსოფლიო პირველობაზე, მაშინ ყველამ მართებულად მიიჩნია მატჩ-რევანშის გამართვა, მით უმეტეს, რომ სპორტულ საზოგადოებას, კერძოდ, გამოჩენილ გროსმაისტერებს, 26 წლის ე. ლასკერის გამარჯვება საეჭვოდ მიაჩნდათ. 1896 წელს მოსკოვში რუსეთის საჭადრაკო მეცენატების ხელშეწყობით გაიმართა ე. ლასკერ-ვ. სტეინიცის მატჩ-რევანში. ეს იყო პირველი მატჩ-რევანში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლის ისტორიაში, რომელიც მოიგო ე. ლასკერმა.

საზოგადოებრიობამ მოიწონა მატჩ-რევანშის გამართვის იდეა და იგი ტრადიციად აქცია. მაგრამ მატჩ-რევანშები ბევრი არ ყოფილა. ე. ლასკერის დამარცხებას ხ. კაპაბლანკასთან, ან ხ. კაპაბლანკას — ა. ალიოხინთან არ მოჰყოლია მატჩ-რევანში. მსოფლიო ჩემპიონებმა მატჩზე ხელშეკრულების დადების დროს არ გამოიყენეს თავისი უფლება მატჩ-რევანშზე. მაგალითად, ხ. კაპაბლანკა ღრმად დარწმუნებული იყო გამარჯვებაში ა. ალიოხინთან, ხოლო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაკარგვის შემდეგ მწარედ განიცდიდა თავის შეცდომას. ა. ალიოხინმა აღარ გაიმეორა თავისი წინამორბედის შეცდომა, როცა მატჩში გამოიწვია. 1935 წელს ა. ალიოხინი დამარცხდა, მაგრამ ორი წლის შემდეგ მატჩ-რევანშში დაიბრუნა დაკარგული ტიტული. ეს იყო მეორე მატჩ-რევანში.

## ლელო
## კალენდარი

როგორც ცნობილია, ა. ალიოხინის გარდაცვალების (1946 წ.) შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ვინაობის გარკვევის უფლება გადავიდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ხელში. ფიდემ შეიმუშავა მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი სისტემა, რომელიც ოთხი საფეხურისაგან შედგება: 1. ზონალური ტურნირები, 2. საზონათაშორისო ტურნირი, 3. პრეტენდენტების ტურნირი, 4. მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან. აღნიშნული შეჯიბრებები მოიცავენ სამ წელს. შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება. ფიდემ აგრეთვე დაადგინა: დამარცხების შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონს შეუძლია ითამაშოს მატჩ-რევანშში. ეს წესი კი ძალაში რჩებოდა 1960 წლამდე.

1958 წელს გაიმართა მესამე მატჩ-რევანში ჭადრაკის ისტორიაში. ეს იყო მ. ბოტვინიკისა და ვ. სმისლოვის ორთაბრძოლის გაგრძელება. მ. ბოტვინიკმა 1957 წელს დაკარგული ტიტული დაიბრუნა.

ამ მატჩის შემდეგ საზოგადოებრიობამ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთ ეჭვი გამოთქვა მატჩ-რევანშის გამართვის მართებულობის მიმართ. ვ. სმისლოვმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონთან ბრძოლაში პრეტენდენტი არათანაბარ პირობებში იმყოფება. იმისათვის, რომ დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი მას ორი მატჩი უნდა ეთამაშო, რომელთაგან ერთი მოიგო, ხოლო მეორე ყაიმით დაამთავრო. ამ საკითხის გარშემო დიდი დავა გაიმართა ფიდეს 1960 წლის კონგრესზე, რომელმაც გააუქმა იგი. მხოლოდ უკანასკნელად მისი უფლება დაუტოვა მ. ბოტვინიკს.

მატჩ-რევანშზე მსოფლიო ჩემპიონის უფლების გაუქმების შემდეგ დამარცხებული მსოფლიო ჩემპიონი მონაწილეობას მიიღებს პრეტენდენტთა ტურნირში. 1962 წლის პრეტენდენტთა ტურნირში ითამაშებს ის, ვინც დამარცხდება ტალ-ბოტვინიკის მიმდინარე ორთაბრძოლაში (ბოტვინიკისათვის მატჩის ყაიმით დამთავრება დამარცხებას ნიშნავს).

თ. გიორგაძე

## რუმინელებმა აიღეს რევანში

გუშინ ბუქარესტში კლასიკურ მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრები გუნდი შეხვდა რუმინეთის ნაკრებს. ამჯერად მასპინძლებმა აიღეს რევანში ანგარიშით 5:3.

შეხვედრები წააგეს: შეყრილაძემ, ეგაძემ, ქორიძემ, გველესიანმა. სეფაშვილმა და ლუდუშაურმა ფრედ დაამთავრეს თავიანთი შეხვედრები, ხოლო გვანცელაძემ და აბაშიძემ ქულებით დაამარცხეს მოწინააღმდეგეები.




1961 წლის საკავშირო პირველობა კრივში. ვ. ბარანიკოვისა (მოსკოვი) და ს. ბუგანის ბრძოლა. შეხვედრა დამთავრდა პირველის გამარჯვებით. მარჯვნივ — ს. სივკო (მოსკოვი) და ვ. პოპონდოპულოს (საქართველო) შეხვედრა.

ფოტო ვ. ტუტოვისა.



# ტრადიციის აღორძინება

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ მიმართ უკანასკნელი წლების მანძილზე ხშირად გამოთქვამდნენ საყვედურს იმის გამო, რომ მან უღალატა კარგ ტრადიციებს, სრულიად გაემიჯნა ქართულ ჭიდაობას და აღარ მონაწილეობს სპორტის ამ სახეობის არცერთ შეჯიბრებაში. ეს გარემოება იმის შედეგი იყო, რომ „სპარტაკში“ აღარ მოქმედებდა სპორტული სექციები ქართულ ჭიდაობაში.

ამას წინათ ჩატარდა თბილისის პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ეს შეჯიბრება იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ მან გამოავლინა სპარტაკელთა სწრაფვა დაკარგული ტრადიციების აღორძინებისათვის. „სპარტაკის“ გუნდმა, რომელიც პირველად მონაწილეობდა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ასეთ შეჯიბრებაში, მოიპოვა საკმაოდ კარგი შედეგი — II ადგილი.

ეს გარემოება შემთხვევით არ იყო, „სპარტაკში“ ამჟამად ჩამოყალიბებულია სექციები ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, სადაც სისტემატური და გულმოდგინე მეცადინეობა მიმდინარეობს. ჯგუფებს ამეცადინებს სპორტის ოსტატი შ. ზუკაკიშვილი, რომელიც დაუღალავად გადასცემს თავის გამოცდილებას ახალბედა სპარტაკელებს.

* * *

**სურათზე:** ქართული ჭიდაობის სექციის მეცადინეობაზე. სპორტსმენებს ახალ ილეთებს ასწავლის შ. ზუკაკიშვილი.

## აირჩიეს ახალი შემადგენლობა

◆

### სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ კონფერენციები

◆

გაიმართა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ონის რაიონული კონფერენცია, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს თავმჯდომარე შ. ქოჩლაძე. საანგარიშო მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო თერთმეტმა კაცმა.

როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვებში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს რაისაბჭოს მუშაობაში არსებული დადებითი მხარეები და ნაკლოვანებებიც. განსაკუთრებით გაესვა ხაზი კოლმეურნეობებში და თვით რაიონის ცენტრში სპორტული ბაზების ნაკლებობას. ონში 5 წლის წინათ დაიწყო საჭიდაო დარბაზის მშენებლობა, მაგრამ ჯერაც არ არის დამთავრებული.

კონფერენციის დელეგატები გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ რაიონში სათანადოდ არ არის განვითარებული სპორტის ზამთრის სახეობანი და ალპინიზმი, რაიონის ბუნებრივი პირობები კი ამის საშუალებას იძლევა.

კონფერენციამ აირჩია რაისაბჭოს ახალი შემადგენლობა. რაისაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია შ. ქოჩლაძე.

**დ. ბერიაშვილი**

# არაფერი თქვეს ჩამორჩენის მიზეზებზე

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს რესპუბლიკურ აქტივზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისში, თავი მოიყარეს საზოგადოების საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების, ფიზკულტურული კოლექტივების, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, მოწინავე მუშაკებმა, რომლებმაც მოისმინეს ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ი. ბოჭორიძის მოხსენება გასულ წელს ჩატარებული მუშაობის შედეგებისა და პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ.

მომხსენებელმა ილაპარაკა საზოგადოების მიერ მოპოვებულ წარმატებებზე. შემდეგ თავისი გამოსვლის ძირითადი ნაწილი დაუთმო იმ ნაკლოვანებათა ღიის სინათლეზე გამოტანას, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ ადგილი ფიზკულტურული კოლექტივების, რაისაბჭოების, სექციების, ნაკრები გუნდებისა და მწვრთნელების საქმიანობაში.

საკმაოდ მრავალრიცხოვანია ხრამჰესის ფიზკულტურული კოლექტივი, მაგრამ ხელმძღვანელთა დაუდევრობისა და მშრომელთა გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა მიმართ გულგრილი დამოკიდებულების გამო მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა მთლიანად ჩაშლილია. არ ეწყობა სპორტ-მასობრივი ღონისძიებანი, ვერ ამზადებენ ნიშნოსნებსა და თანრიგოსნებს, საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რამდენიმე წლის წინათ დაწყებული სპორტდარბაზის მშენებლობა უპატრონოდაა მიტოვებული. ამგვარი მამხილებელი ფაქტი კარგადაა ცნობილი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გ. ებრალიძის და პროფორგანიზაციის თავმჯდომარე მ. კარსლიევისათვის, მაგრამ ეს ამბავი მათ სრულიადაც არ აწუხებთ, თითქოსდა მათზე ზრუნვა არ შედიოდეს მათს ფუნქციებში.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი თბილისის მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო ტექნოლოგიური სამეცნიერო ინსტიტუტში, სადაც ფიზკულტურას „ხელმძღვანელობს“ ვინმე ა. ღონღაძე. ეს მუშაკი აქ ცენტრალური საბჭოს საგზურის გარეშე იქნა მიღებული და ალბათ იმიტომ, რომ იგი სკოლაშიც მუშაობს. იგი ვერ ასწრებს საქმეთა მოგვარებას, რის გამოც სპორტული მუშაობა და საწარმოო ტანვარჯიში მთლიანად ჩაშლილია.

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე № 7 სამკერვალო ფაბრიკის, თამბაქოს №2 ფაბრიკის, შამპანური ქარხნის, სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამმართველოსა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე, აფხაზეთსა და ფოთში საწყლოსნო სპორტის განვითარებისათვის არსებული პირობების გამოუყენებლობაზე, ჩავარდნებზე მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, კალათბურთში, ტანვარჯიშში აკრობატიკასა და სხვა სახეობებში.

სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით „განთიადს“ 2170 თანრიგოსანი მძლეოსანი ყავს, მაგრამ შარშან პროფკავშირების სპარტაკიადაზე მათგან მხოლოდ ორმა აჩვენა 1 თანრიგის შედეგი, ოთხმა — მეორე თანრიგისა და 24 — მესამე თანრიგის (!). საოლქო საბჭოები ერთნაირად არ ზრუნავენ სპორტის ყველა სახეობის და განსაკუთრებით ეროვნულ სახეობათა განვითარებისათვის. სამხრეთ ოსეთში ველოსპორტში შარშან მხოლოდ ერთი მესამეთანრიგოსანი მომზადდა, აფხაზეთში მხედველობიდან „გამორჩათ“ ეროვნული სახეობანი, მახარაძელებს დაავიწყდათ ტანვარჯიშის, ჩოგბურთისა და ზოგიერთ სხვა სახეობათა არსებობა, ბორჯომლებს — ჭიდაობა და ა. შ.

კიდევ ბევრი სხვა ნაკლოვანებები ამხილა მომხსენებელმა, მაგრამ კამათის დროს არც—ერთს არ გამოუთქვამს სურვილი ეთქვათ ჩამორჩენის მიზეზები, ან აპირებენ თუ არა საქმიანობის გარდაქმნას მომავალში, მით უმეტეს, რომ წელს ტარდება პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადა, მასში წარმატებით მონაწილეობა კი ხანგრძლივ, ენერგიულ, დაუღალავ შრომას, რეგულარულ ვარჯიშს საჭიროებს.

აქტივზე კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა და მათგან საქმიანი იყო მხოლოდ „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის შ. მამინაშვილის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ბაბილოძის, ქუთაისის ავტოქარხნის პროფკავშირის თავმჯდომარის რ. გოგოლაშვილის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გ. ჯომარჯიძის, პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს წარმომადგენლის ნ. ხრომოვის გამოსვლები, რომლებმაც ილაპარაკეს როგორც თავიანთ საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე, ისე ცენტრალური საბჭოს არასათანადო დახმარებაზე, კერძოდ, აღინიშნა, რომ „განთიადელთა“ შეჯიბრებებზე ხშირად იწვევენ სხვა საზოგადოებათა მსაჯებს, როცა საკუთარი მსაჯები გამოუყენებელი რჩება, რომ ცენტრალური საბჭო ფიზკულტურულ კოლექტივებს არ აძლევს მშთ და თანრიგოსანთა სამკერდე ნიშნებს, ხშირად არ დადიან ფიზკულტურული კოლექტივების შემოწმებაზე და სხვ.

საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ნ. ხრომოვმა და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ დ. პერტენავამ კიროვის სახ. ქარხნის ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარეს გადასცეს სპორტული კლუბის დიპლომი და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები.

## სპორტკავშირის კონფერენციები

✦

## თერჯოლა

ამას წინათ თერჯოლაში გაიმართა სპორტკავშირის რაიონული კონფერენცია, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა ო. კახიძე. მომხსენებელმა აქტივს მოუთხრო განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ, აღნიშნა შემჩნეული ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის გზები. მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გ. კიკნაძემ, კ. უკლებამ, კ. სულამანიძემ, დ. კაჭკაჭიშვილმა, ა. ჩარექოვმა და სხვებმა. კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის მეთოდკაბინეტის გამგემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. მერკვილაძემ.

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა სპორტკავშირის მუშაობა.

* * *

საფეხბურთო სეზონთან დაკავშირებით თერჯოლაში დამთავრდა სტადიონის კეთილმოწყობა, გაკეთდა დასაჯდომები 550 კაცისათვის, მომზადდა მოედანი და ა. შ.

* * *

ამას წინათ თერჯოლის სტადიონზე გაიმართა საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული საფეხბურთო მატჩი თერჯოლისა და ცაგერის რაიონების გუნდებს შორის. გაიმარჯვეს თერჯოლელებმა — 3 : 2.

**ლ. ჯიშიაშვილი**

# საქალაქთაშორისო მატჩი

სპორტის მოყვარულთა განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს თბილისელ და ქუთაისელ მოკრივეთა ყოველი მატჩი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ძირითადად ამ ორი ქალაქის მოკრივეთა შეხვედრებში ვლინდება ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი გუნდი.

ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ კვირას, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში მრავალმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი საქალაქთაშორისო მატჩის სანახავად.

ქუთაისელებმა მოიგეს მხოლოდ ორი შეხვედრა. უმჩატესი წონის მოკრივემ დ. ცხადაძემ დაამარცხა თბილისელი დ. შათაშვილი, მისმა თანაგუნდელმა გ. მაწონიშვილმა (ქვემძიმე წონა) — ი. ხაიმაშვილი. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ორივე მოკრივემ მხოლოდ მესამე რაუნდში მოპოვებული მცირე უპირატესობით შეძლო გამარჯვების მოპოვება.

ათი შესაძლებლიდან — ორი ქულა. ეს მეტად მცირეა ქუთაისელთათვის, მაგრამ უფრო საგანგაშო ის არის, რომ მატჩის მსვლელობის დროს სამჯერ შეწყდა ბრძოლა თბილისელთა აშკარა უპირატესობის გამო. ეს ფაქტი თბილისელთა სასარგებლოდ იმდენად არ ლაპარაკობს, რამდენადაც ქუთაისელთა დაბალ კლასზე მიგვითითებს.

აღსანიშნავია ერთი, თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტიც: მჩატე წონის მოკრივეების ქუთაისელი რ. თოფურიას და თბილისელ რ. მაგალიანის შეხვედრის დროს ქუთაისელი გამუდმებულ შეტევაზე იყო გადასული, მისი დარტყმები მიზანს ვერ აღწევდა თბილისელი კი ზუსტი, გამოზომილი დარტყმებით ქულას ქულაზე აგროვებდა. მოულოდნელად თბილისელი ნოკდაუნში აღმოჩნდა, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ მშვენივრად განხორციელებული სერიული დარტყმებით, კვლავ დააბრუნა ადრე მოპოვებული უპირატესობა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ: ლ. ცხადაძე (ქუთაისი), რ. მაგალიანი, ვ. კრილოვიჩი, ვ. გლინსკი, ი. შარაშენიძე, ე. არუთინიანი, კ. ბერიკაშვილი, გ. ჩიჩუა (ყველა თბილისიდან), გ. მაწონაშვილი (ქუთაისი) და თ. სახვაძე (თბილისი).

**ი. ხატიაშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
**გ. სამსონაძე.**



☆

ბათუმში, კარგი ამინდების დადგომისთანავე გამოცოცხლდა პიონერთა პარკის საწყლოსნო სადგური, ბაიდარებმა გააპეს პატარა „ზღვის“ ტალღები.

* * *

**სურათზე:** ნიჩბოსანი ფ. ანთაძე ვარჯიშის დროს.

ფოტო ჟ. სუსუნიკაშვილისა.

☆




# მეორე ეშელონი სინჯავს ძალებს

28 მარტს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა მორიგი საკონტროლო მატჩი ფეხბურთში. თბილისის „ლოკომოტივი“ შეხვდა ალმა-ატის „კაირატს“.

„კაირატმა“, რომლის ფეხბურთელებმა „ა“ კლასის მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღეს შარშანდელ სეზონში, წელს დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს წინასასეზონო საკონტროლო მატჩები და როგორც გუნდის მწვრთნელმა განაცხადა, განზრახული აქვთ წარმატებით ითამაშონ მომავალ სეზონში.

მაგრამ, ეტყობა, გუნდის შესაძლებლობანი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მისი ხელმძღვანელობის გეგმები. „კაირატის“ მოთამაშეებს აკლიათ ტექნიკა, ფიზიკური მომზადება, ტაქტიკური ურთიერთმოქმედება. მათი სქემა (3+3+4) მთლიანად აგებულია უკან დაწეული ცენტრალური თავდამსხმელის სკულკინის უნარზე, მაგრამ მისი გადაცემების უმრავლესობა ფუჭად იკარგება. ერთადერთი მოთამაშე, რომელიც კარგად იყენებდა სკულკინის გადაცემებს, ეს იყო ჩერემუშკინი.

„ლოკომოტივს“ თითქმის სრული უპირატესობა ჰქონდა მთელი მატჩის განმავლობაში. როგორც ინდივიდუალური ბრძოლა, ისე ცალკეული რგოლების მოქმედება რკინიგზელთა სასარგებლოდ მთავრდებოდა, რაც საბოლოო ანგარიშშიც გამოიხატა — 2:0, მაგრამ ასეთი გამარჯვებები „ლოკომოტივისათვის“ პირველი არაა და მან არ უნდა შეიტანოს თვითდამშვიდება გუნდის წევრებში. ჩვენი ფეხბურთელები განვლილ მატჩში ხშირად უშვებდნენ ტექნიკური ხასიათის შეცდომებს, ხოლო თავდამსხმელები ზედმეტად, ყოველგვარი სარგებლის გარეშე ატარებდნენ ბურთს.

თბილისელებს ჯერ კიდევ დასაწყისში ჰქონდათ რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მომენტი და მეათე წუთისათვის ახალკაცმა და ცერცვაძემ ახლო მანძილიდან ააცილეს ბურთები კარს. კარგად დაწყებული თამაში თანდათან ქაოტიურ ბრძოლაში გადავიდა და მხოლოდ ტაიმის დასასრულისათვის შეძლეს ლოკომოტიველებმა მისი გადაყვანა ჩვეულ კომბინაციურ სტილში. ახალკაცმა და ივანოვმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ურთქმელიძემ — 1:0.

მეორე ტაიმი პირველის ანალოგიას წარმოადგენდა და ბურთი ძირითადად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა. 30-ე წუთზე ივანოვმა მიაწოდა კუთხური ბურთი, მეკარემ შეცდომა დაუშვა კარიდან გამოსვლისას და ურთქმელიძემ თავით გაიტანა მეორე გოლი.

„ლოკომოტივი“ ამ დღეს თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: რუხაძე; უსტაბაშიძე, კუჭავა, ოდიკაძე (გაგუა); მუმლაძე, მიროშნიკოვი; იაშვილი, ცერცვაძე, ახალკაცი (დავითულიანი), ურთქმელიძე, ივანოვი.

**ბ. ქორიძე**

**სურათზე:** სახიფათო მომენტი ალმა-ატელთა კართან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# დღეს ხარკოვში, 3 აპრილს კი თბილისში

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირისა და ირანის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა უშედეგოდ — 4:4. გუშინ რედაქცია დაუკავშირდა მოსკოვში სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. ბალავაძეს, რომელმაც ამ შეხვედრის შესახებ გვაცნობა შემდეგი:

ირანელმა მოჭიდავეებმა ძალზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს სპორტის მოყვარულებზე. სტუმრები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი და შესანიშნავად ფლობენ თავისუფალი ჭიდაობის რთულ ილეთებს. ბრძოლას ისინი ატარებენ როგორც წესი, მაღალ ტემპში. თითქმის ყველა ირანელი მოჭიდავე ერთნაირი ოსტატობით მუშაობს როგორც დგომში, ისე ჩოქბჯენში, მაგრამ პირველს ისინი მაინც უპირატესობას ანიჭებენ.

თავის პირველ გამოსვლაში სტუმრებმა ქულათა მეტი რაოდენობა სწორედ დგომში აიღეს. ამ მხრივ სამაგალითო იყო უმძიმესი წონის მოჭიდავეთა შეხვედრა. ვ. ლიტვინმა (სსრკ) ოდნავ გაუბედავად დაიწყო ბრძოლა ნ. სალთანის (ირანი) წინააღმდეგ, რაც შესანიშნავად გამოიყენა მისმა მეტოქემ და გახსნა ქულათა ანგარიში. შემდეგ საბჭოთა მოჭიდავეს კიდევ რამდენიმეჯერ მოუხდა ჩოქბჯენში ყოფნა. ირანელი ფეხებში უეცარი შევარდნით ერთი-მეორეზე აგროვებდა ქულებს, როდესაც გათავდა ჭიდაობისათვის განკუთვნილი დრო, ირანელს 5 ქულა ჰქონდა მოპოვებული, ლიტვინს კი ერთი. მძიმე წონის მოჭიდავეთა მ. შახოვის და უ. შ. ზაბას შეხვედრა დამთავრდა პირველის გამარჯვებით.

ვ. რუბაშვილ-ხ. თავაქოლის ორთაბრძოლა მეტად შეუპოვარი იყო. ორივე მოჭიდავე იბრძოდა ტემპში, ძალღონის დაუზოგავად, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი მოუხერხეს. ჩემი აზრით, გამარჯვება რუბაშვილმა მოიპოვა. საქმე იმაშია, რომ პირველ წუთზე რუბაშვილმა ირანელი მოჭიდავე ჩოქბჯენში გადაიყვანა, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც ილეთი ლეიბის გარეთ ჩატარებულად ჩათვალეს. ჩოქბჯენში ქვემოდან მუშაობისას რუბაშვილმა ერთი ამოსვლა გააკეთა, ხოლო მის მოწინააღმდეგეს 12 წუთის მანძილზე არც ერთი ილეთი არ შეუსრულებია. მსაჯებმა ეს შეხვედრა ფრედ აღნიშნეს.

ზუსტად იგივე სურათი განმეორდა მსუბუქ წონაში რ. ჯლამაძე-მ. სანატკარინის ბრძოლის დროს. დგომში ჯლამაძემ გარესარმით ქულა წაართვა მოწინააღმდეგეს, ირანელმა უკანასკნელ წუთებზე გაათანაბრა ეს ქულა და შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ამის მიუხედავად ეს ბრძოლა იყო ყველაზე საინტერესო და ამაღელვებელი, რადგან ორივე მოჭიდავე მოქმედებდა გაბედულად, სწრაფად და დიდი აზარტით.

ქვესაშუალო წონაში როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა ი. ა. ჰაბიბიმ, გ. ნებიერიძემ აგრესიულად დაიწყო ბრძოლა გამოცდილი მეტოქის წინააღმდეგ, მაგრამ ერთ-ერთი შეტევის დროს წამით მოადუნა ყურადღება და მსოფლიოს ჩემპიონმა 2 ქულა „წაგლიჯა“ მას. რამდენიმე სახიფათო ფანდი ჩაატარა ირანელმა ჩოგბჯენშიც. ნებიერიძე მიხვდა, რომ ბრძოლა წაგებული ჰქონდა და რისკზე წავიდა, მაგრამ ჰაბიბიმ ოსტატური მოგერიდით იგი ბეჭებზე დასვა. ეს მოხდა შეხვედრის დამთავრებამდე 20 წამით ადრე. უფერული იყო ა. ალაბეკიან-მ. მეჰტი-ზადეს შეხვედრა. ქულებით გაიმარჯვა ირანელმა.

ბ. გურევიჩმა წააგო ტახტთან, ხოლო მედვედმა მოუგო ნურის.

დღეს ირანელი მოჭიდავეები გამოდიან ხარკოვში ხოლო 3 აპრილს — თბილისში. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების ღირსებას ამ შეხვედრაში დაიცავენ: ზ. მჭედლიშვილი, ვ. რუბაშვილი, რ. ჯლამაძე, გ. სალარაძე, გ. გობეჯიშვილი, ო. კანდელაკი და სხვები.

# ლიდერები არ ცხრებიან

✦

**საქართველოს 1961 წლის საჭადრაკო პირველობა ქალთა შორის**

✦

გათამაშების ლიდერს ბევრი მოეთხოვება, რადგან იგი ტონს აძლევს ბრძოლას, ამას თვით ლიდერებიც გრძნობენ და მეტი მონდომებით ცდილობენ „მოწყდნენ“ მეტოქეებს. ასე იქცევა გაფრინდაშვილი. მას არც ჩაიკოვსკაია ჩამორჩება. ამ გამოცდილი მოჭადრაკეებისათვის ასეთი ბრძოლა უცხო არ არის და ისინი თავს გრძნობენ „როგორც თევზი წყალში“. სხვაა ახალგაზრდა თელაველი ხუგაშვილისა და თბილისელი ივანოვას ლიდერებში გარევა. ისინიც არ ზოგავენ თავს.

V ტურში შათირიშვილი ჩინებულად თამაშობდა გაფრინდაშვილთან და ოსტატს გაუჭირდა უპირატესობის მიღება. ბოლოს მან მოიგო პაიკი და პარტია გადადო ოთხი ეტლის დაბოლოებაში. ჩაიკოვსკაია თავიდანვე წააწყდა კარგად აწყობილ დაცვას ახალშვიდა კალანდარიშვილთან პარტიაში. მაგრამ გამოუცდელმა მოჭადრაკემ ვერ „გაუძლო“ ბრძოლის სიმძაფრეს და პაიკი დაკარგა. ეს პარტიაც გადაიდო. პირველი დამარცხება განიცადა ივანოვამ, რომელსაც მოუგო ნაჭყებიამ, ხუგაშვილის შეხვედრა გედენიძესთან არ შედგა პირველის ავადმყოფობის გამო, გოგიავამ დაამარცხა აჭარის ჩემპიონი ტატარინოვა, მანველოვამ — ღიატლოვი.

გუშინ, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება და გამოტოვებული პარტიების გათამაშება.

# „ბ“ კლასში

16 აპრილს იწყება სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში „ბ“ კლასის გუნდებისათვის. მოგვყავს ჩვენი რესპუბლიკის გუნდების თამაშების კალენდარი.

**მოკავშირე რესპუბლიკათა**

**I ზონა**

პირველი წრე

აპრილი

**16.** „რიწა“-(სოხუმი)-„ბანგა“ (კაუნასი), „დინამო“ (ბათუმი)-სკფ (ტალინი). **23.** „ლოკომოტივი“ (თბილისი)-„სელმაში“ (ლიეპაია), „დინამო“ (ბათუმი)-„ბანგა“ (კაუნასი). **28.** „დინამო“ (ბათუმი)-„ლოკომოტივი“ (თბილისი).

მაისი

**2.** „რიწა“ (სოხუმი)-„სელმაში“ (ლიეპაია), „ლოკომოტივი“ (თბილისი)-**რეზ**-ი (რიგა). **7.** „რიწა“ (სოხუმი)-**რეზ**-ი (რიგა), „ლოკომოტივი“ (თბილისი)-**სკფ** (ტალინი), „დინამო“ (ბათუმი)-„სელმაში“ (ლიეპაია). **12.** „რიწა“ (სოხუმი)-სკფ (ტალინი), „ლოკომოტივი“ (თბილისი)-„ბანგა“ (კაუნასი), „დინამო“ (ბათუმი)-**რეზ**-ი (რიგა). **18.** „ლოკომოტივი“ (თბილისი)-„რიწა“ (სოხუმი), „ლოკომოტივი“ (გომელი)-„დინამო“ (ბათუმი). **23.** ქ. ბობრუისკი-„დინამო“ (ბათუმი), „სპარტაკი“ (ბრესტი)-„რიწა“ (სოხუმი), „ლოკომოტივი“ (გომელი)-„ლოკომოტივი“ (თბილისი). **28.** ქ. ბობრუისკი-„ლოკომოტივი“ (თბილისი), „ხიმიკი“ (მოგილიოვი)-„დინამო“ (ბათუმი). **31.** „კრასნოე ზნამია“ (ვიტებსკი)-„რიწა“ (სოხუმი).

ივნისი

**4.** „კრ. ზნამია“ (ვიტებსკი)-„დინამო“ (ბათუმი), „ხიმიკი“ (მოგილიოვი)-„ლოკომოტივი“ (თბილისი), „ლოკომოტივი“ (გომელი)-„რიწა“ (სოხუმი), **9.** ქ. ბობრუისკი-„რიწა“ (სოხუმი). **14.** „კრ. ზნამია“ (ვიტებსკი)-„ლოკომოტივი“ (თბილისი), „ხიმიკი“ (მოგილიოვი)-„რიწა“ (სოხუმი), „სპარტაკი“ (ბრესტი)-„დინამო“ (ბათუმი). **19.** „რიწა“ (სოხუმი)-„ნისტრული“ (ბენდერი), „დინამო“ (ბათუმი)-„პიშჩევიკი“ (ტირასპოლი), „სპარტაკი“ (ბრესტი)-„ლოკომოტივი“ (თბილისი). **24.** „რიწა“ (სოხუმი)-„პიშჩევიკი“ (ტირასპოლი), „დინამო“ (ბათუმი)-„ნისტრული“ (ბენდერი). **25.** „ლოკომოტივი“ (თბილისი)-„შირაქი“ (ლენინაკანი). **29.** „რიწა“ (სოხუმი)-„დინამო“ (ბათუმი), „ლოკომოტივი“ (თბილისი)-„ლორი“ (კიროვაკანი).

ივლისი

**9.** „შირაქი“ (ლენინაკანი)-„დინამო“ (ბათუმი), „ლორი“ (კიროვაკანი)-„რიწა“ (სოხუმი), „პიშჩევიკი“ (ტირასპოლი)-„ლოკომოტივი“ (თბილისი). **14.** „შირაქი“ (ლენინაკანი)-„რიწა“ (სოხუმი), „დინამო“ (ბათუმი)-„ლორი“ (კიროვაკანი). „ნისტრული“ (ბენდერი)-„ლოკომოტივი“ (თბილისი).

# საზოგადოების ჩემპიონი

დამთავრდა „შრ. რეზერვების“ საქალაქო პირველობა ფრენბურთში 1943-45 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა გოგონათა 5 და ჭაბუკთა 7 გუნდი.

გოგონათა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ № 23 და № 27 სახელოსნო სასწავლებლის გუნდები, გაიმარჯვეს 27-ე სასწავლებლის ფრენბურთელებმა.

ჭაბუკთა შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ № 18 სამშენებლო სასწავლებლის ფრენბურთელები, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს № 2 რკინიგზის სასწავლებლის გუნდი.

**ი. რუხაძე**

# სამი ქალაქის მატჩი

თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე სამ დღეს გრძელდებოდა სამი ქალაქის — ბაქოს, ერევნისა და თბილისის ჭაბუკ ხელბურთელთა (7×7) მატჩი გათამაშების პირველ დღეს თბილისელები შეხვდნენ ერევნელ ხელბურთელებს. პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 5:4. შესვენების შემდეგ სტუმრებმა თითქმის მთლიანად დაყარეს ფარ-ხმალი და დამარცხდნენ — 7:13.

სტუმრების — ერევნისა და ბაქოს გუნდების შეხვედრაში ანგარიში წაიყვანეს ერევნელებმა — 7:1, მაგრამ შესვენებამდე ბაქოელებმა შეძლეს 4 ბურთის გაქვითვა. მეორე ნახევარში ბაქოელებმა კიდევ 10 გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 15:11.

თბილისისა და ბაქოს ხელბურთელთა მატჩს უნდა გამოევლინებინა გამარჯვებული. შესვენებამდე წინ იყვნენ სტუმრები — 9:7, მაგრამ შემდეგ მათ ვერ შეინარჩუნეს ეს უპირატესობა და დამარცხდნენ — 14:18.

ამრიგად, სამი ქალაქის ჭაბუკ ხელბურთელთა ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისელებმა, ბაქოელი სპორტსმენები გამოვიდნენ მეორე ადგილზე.

**ლ. ფალიანი**



როგორც ცნობილია, ამას წინათ მოსკოვში გაიმართა ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელზეც ნაჩვენები იქნა ბევრი მაღალი შედეგი.

სურათზე: ტურნირის მონაწილე ამერიკელი ძალოსანი ბრედფორდი.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

## „კლდის ვეფხის“ ახალი წარმატება

გასულ წელს ქართველი ალპინისტი სპორტის ოსტატი მ. ხერგიანი სტუმრად იყო ინგლისელ კოლეგებთან, სადაც მან ადგილობრივ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ რთულ ასვლებში. შესანიშნავი ოსტატობისათვის მ. ხერგიანს ინგლისელმა ალპინისტებმა „კლდის ვეფხი“ უწოდეს. ეს საპატიო ტიტული ქართველმა ალპინისტმა დაამტკიცა ამას წინათ იალტასთან ახლო მდებარე ქვემო ორეანდაში მოწყობილ პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების საკავშირო პირველობაზე კლდეზე ცოცვაში.

შეჯიბრების მონაწილეებს უნდა დაეძლიათ 80-მეტრიანი ციცაბო კლდე. ამოცანა არც თუ ისე ადვილი გამოდგა. ზოგნი შუა მანძილის გავლის შემდეგ ეთიშებოდნენ შეჯიბრებას.

სტარტზე დადგა ქართველი ალპინისტი, კავკასიონისა და პამირის უძნელეს მწვერვალთა დამპყრობი მ. ხერგიანი. იგი განსაცვიფრებელი ოსტატობით ძლევდა სიმაღლეს და უკვე 2 წუთში „ფინიშთან“ იყო. ამ შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო და მ. ხერგიანს მიენიჭა პირველი ადგილი.

## სპორტული ქრონიკა

**გორი.** ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტდარბაზში მოეწყო კალათბურთელთა შეჯიბრება. მონაწილეობდნენ ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, კასპისა და გორის რაიონის გუნდები. სამდღიანი ბრძოლის შედეგად პირველი ადგილი როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის, მოიპოვეს გორის რაიონის წარმომადგენლებმა.

**ი. თევდორაშვილი**

* * *

**ქობულეთი.** ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში მოეწყო კალათბურთელ ქალთა გუნდების ტურნირი. გაიმარჯვეს ქობულეთის „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა.

**შ. ტრაპაიძე**

**ქუთაისის** მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების საჭადრაკო პირველობაში ჩემპიონის სახელისათვის 15 მოჭადრაკე იბრძოდა. ტურნირში I-II ადგილები გაიყვეს ჯანმრთელობის განყოფილების ინჟინერმა ლ. ოთხმეზურმა და პირველი სამშობიარო სახლის ექიმმა შ. გალოგრიძემ.

**ლ. ფაჩუაშვილი**

* * *

**თბილისში** გაიმართა ამხანაგური საჭადრაკო მატჩი თბილისისა და ერევნის „დინამოს“ მოჭადრაკეთა შორის 6 დაფაზე. პირველი ორი წრე დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 8,5 : 3,5. მესამე და მეოთხე წრე გაიმართება ერევანში მარტის დამლევს.

**ა. დოგორჯგინიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## გათამაშება განახლდა

ავსტრიის ჩემპიონატის დასაწყისში სპორტული მიმომხილველები პირველი ადგილისათვის ბრძოლას მოელოდნენ ძველ მეტოქეებს— „რაპიდსა“ და „ვინერ შპორტკლუბს“ შორის, ვინაიდან ბოლო სამი წლის მანძილზე ეს კლუბები კონკურენციის გარეშე იყვნენ.

მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატში ორივე გუნდი წარუმატებლად თამაშობს. „ვინერ შპორტკლუბი“, რომელიც ეროვნული ნაკრების ბირთვს წარმოადგენს, იმდენად გამოიფიტა, რომ საერთოდ გამოეთიშა პირველი ადგილისათვის ბრძოლას, ხოლო ევროპის ჩემპიონთა თასის მონაწილე „რაპიდი“ ეროვნულ ჩემპიონატს საკმაო ყურადღებას ვერ უთმობს. ლიდერობისათვის იბრძვიან „აუსტრია“ და „ვინერ ატლეტიკ კლუბი“, რომელიც ადრე არასოდეს არ ყოფილა ავსტრიის მოწინავე გუნდების რიგებში.

პირველი წრის დასასრულს „აუსტრია“ ერთი ქულით უსწრებდა თავის მეტოქეს. ამ დღეებში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გათამაშება განახლდა. ლიდერები ერთმანეთს პირველივე დღეს შეხვდნენ და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა „ვინერ ატლეტიკ კლუბმა“ (4:3), რომელმაც პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

## ყოველი მხრიდან

☐ **სიდნეი.** ავსტრალიის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე 17 წლის რ. ბეინბრიჯმა 100 მეტრი გაირბინა 11,5 წამში, რაც ახალი რეკორდია გოგონათა შორის.

☐ **ლონდონი.** შოტლანდიელმა კ. ფეირბრაზერმა დახურულ შენობაში სიმაღლეზე ხტომის დროს დაძლია 2 მ 5,7 სმ და დაამყარა დიდი ბრიტანეთის ახალი რეკორდი.

☐ **ლუისვილი** (კენტუკის შტატი). დახურულ შენობაში გამართულ სპრინტერთა შეჯიბრებაში ვ. რუდოლფმა 70 იარდი (64 მ) გაირბინა 7,9 წამში, რაც ამერიკის ახალი მიღწევაა.



# ჩილე-1962

## ჰოლანდიელთა დიდი გეგმები

ორი უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით თამაშებამდე ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა ვერ მიაღწიეს, მაგრამ ორჯერვე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო მათმა შეუპოვრობამ და ბრძოლისუნარიანობამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ VI ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ჰოლანდიელებმა ფაქტიურად აჯობეს ავსტრიელებს და მხოლოდ მსაჯის არაობიექტურობამ მოუსპო მათ შვეციაში გამგზავრების საშუალება.

ჰოლანდიის ჩემპიონატში 18 უძლიერესი კლუბი მონაწილეობს, რომლებიც 13 ქალაქის წარმომადგენლები არიან და ყველას ნაკრების თითო-ოროლა მოთამაშე ჰყავს. ეს დიდად უძნელებს სამუშაოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ე. შვარცს. მას მიაჩნია, რომ 18 გუნდი პირველ ლიგაში ერთობ ბევრია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც ჰოლანდიაა, ჰოლანდიელი ფეხბურთელები ხასიათდებიან კარგი ათლეტური მომზადებით, მაღალი ტემპით, დიდი შეუპოვრობით. ეს მათ სახიფათოს ხდის თვით უძლიერესი მეტოქეებისათვისაც კი.

ე. შვარცი კარგა ხანია შეუდგა მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ჰოლანდიელთათვის დიდი წარმატება იყო გამარჯვება ბულგარეთის ძლიერ გუნდთან (4 : 2), სადაც ცენტრფორვარდმა ვან დენ ლინდენმა 3 ბურთი გაიტანა. შეწყობილი თამაში უჩვენა ნაკრების თავდასხმის მარცხენა ფრთამ (რიივერსი-მულეინი), მაგრამ უკვე შემდეგმა თამაშებმა ცხადყო, რომ საჭირო იყო ნაკრების გაახალგაზრდავება. ამ მტკივნეული პროცესის დროს ჰოლანდიელები დამარცხდნენ შვეიცარელებთან (1 : 3), მაგრამ შემდეგ გუნდის ბრძოლისუნარიანობა მკვეთრად გაუმჯობესდა. ოქტომბერში იგი შეხვდა თავის მუდმივ მეტოქეს — ბელგიის ნაკრებს. ჰოლანდიელებმა კარს მიაჯაჭვეს მოწინააღმდეგენი და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს — 4 : 1. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მარჯვენა გარემარბმა ვან დერ კუელმა, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა. ეს საუცხოო გარემარბი სეზონის ბოლოსათვის აღიარებულ იქნა ერთ-ერთ უძლიერეს ფორვარდად ევროპაში.

თებერვლის დასასრულს ჰოლანდიის გუნდმა საწვრთნელი მატჩი ჩაატარა რუმინეთის ნაკრებთან როგორც ჟურნალ „ფუსბალ-ვოხეს“ კორესპონდენტი იუწყება, ჰოლანდიის ფეხბურთელებმა საუცხოო შთაბეჭდილება დატოვეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0.

ამ მატჩის შემდეგ შვარცმა პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს გააცნო იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც სისტემატურ წვრთნას გაივლიან მსოფლიო ჩემპიონატის წინ. აი გუნდის შემადგენლობა: მეკარეები — გრააფლანდი, ბეკერინგი, იუნგბლოედი; მცველები — კუისი, ვიერსმა, დე გროოტი, ველდჰოენი; ნახევარმცველები — მიულერი, ვან დერ ჰარტი, კლასენსი, რუდერმანსი, ბორგჰუისი; თავდასმხსმელები — ვან დერ კუელი, კრუივერი, ჰენკ გროოტი, სვატი, ბერგჰოლცი, გოენს-გენსი.

ნაკრებში რამდენიმე შესანიშნავი ფეხბურთელია. მეკარე გრააფლანდს საუცხოო რეაქცია და დიდი საბრძოლო გამოცდილება აქვს, ძირითადი მცველები კუისი და ვიერსმა, რასაკვირველია, არ მიეკუთვნებიან საერთაშორისო „ექსტრა-კლასის“ ფეხბურთელთა რიცხვს, მაგრამ ჩინებულად არიან შეთამაშებული ერთმანეთთან, საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ და განსაკუთრებით ოსტატურად არიან დაუფლებული ე. წ. „პერსონალურ დარაჯობას“. მათგან განსხვავებით ცენტრალური ნახევარმცველი ვან დერ ჰარტი დიდი რადიუსით მოქმედებს. იგი მაღალი ტექნიკის ფეხბურთელია, საუცხოოდ თამაშობს ზონაში. ნახევარდაცვაში გამოირჩევა კლასენსი.

შარშან შვარცმა საგრძნობლად გადაახალისა თავდასხმა. წავიდნენ ნაკრების ვეტერანები ვან დერ ლინდენი და ვილკესი. დიდი გაკვირვება გამოიწვია შვარცის გადაწყვეტილებამ ნაკრებიდან გამოიყვანოს მარცხენა გარემარბი მულეინი, რომელიც კარგად ახსოვთ თბილისელებსაც. მას ჰოლანდიის „სტენლი მეტიუზს“ უწოდებენ და დღესაც ეროვნული ჩემპიონატის ლიდერ „ფეიენოორდის“ წამყვანი ფორვარდია. ახალი შემადგენლობის თავდასხმაში აღნიშნავენ გარემარბ სვარტს. მას კარგი დრიბლინგი აქვს. თამაშობს ინდივიდუალურად, აგრეთვე ჰოლანდიელებს იმედი აქვთ დერ კუელისა, რომლის გარღვევებს კარგად იყენებს შედეგიანი შუამარბი გროოტი.

კენჭისყრის თანახმად მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ჰოლანდიელებს საქმე ექნებათ ისეთ მრისხანე მეტოქესთან, როგორიც უნგრეთის ნაკრებია, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან.

**გ. გამრეკელი**

რედაქტორი ი. უგულავა

## დღეს

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართება ასუჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონის, საერთაშორისო გროსმაისტერის ვიაჩესლავ შჩეგოლევის ლექცია: „1960 წლის დიდი ოლიმპიური ტურნირი ასუჯრიან შაშში ჰოლანდიაში“.

ლექციის შემდეგ ვ. შჩეგოლევი გამართავს ერთდროული თამაშის სეანსს 25 დაფაზე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

## ფეხბურთი

31 მარტს
ამხანაგური შეხვედრა
„დინამო“ (თბილისი) —
„სპარტაკი“ (მოსკოვი)
(დუბლშემადგენლობანი)
დასაწყისი 17 ს. 15 წ.

★

1 აპრილს
ამხანაგური შეხვედრა
„დინამო“ (თბილისი) —
„სპარტაკი“ (მოსკოვი)
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 17 საათზე.

★

2 აპრილს
ამხანაგური შეხვედრა
ცსკა (მოსკოვი) —
„ლოკომოტივი“ (თბილისი)
დასაწყისი 14 საათზე.

## 3 აპრილი

თბილისის სახ. ცირკი
საერთაშორისო შეჯიბრება
თავისუფალ ჭიდაობაში
## საქართველო—ირანი

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00973